პრაქტიკული მითითება №9

გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, სახელმძღვანელო

სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორსა და გენდერზე

შინაარსი

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერი სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობისთვის?

როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობაში?

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

შეკითხვები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის

დამატებითი ინფორმაცია

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW)

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF)

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმამ მამაკაცების, ქალების, ვაჟების და გოგონების უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. გენდერული საკითხების ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულებისთვის, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ დონეზე მესაკუთრეობის შეგრძნების და ლეგიტიმურობისთვის.

წინამდებარე პრაქტიკულ მითითებაში მოცემულია მოკლე შესავალი სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობაში გენდერის საკითხების ინტეგრაციის სარგებლის თაობაზე, ასევე პრაქტიკული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული მითითება უფრო მოცულობით „ინსტრუმენტს" ეფუძნება და ორივე მათგანი ***გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს*** ნაწილს წარმოადგენს. იმისთვის, რომ გენდერის საკითხების შესახებ ერთგვარი შესავალი გაკეთდეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში მონაწილე პრაქტიკოსებისა და პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისთვის, სახელმძღვანელო 12 ინსტრუმენტისგან შედგება, რომელთაგან თითოს პრაქტიკული შენიშვნა ახლავს თან – *იხილეთ დამატებითი ინფორმაცია.*

რატომ არის გენდერი მნიშვნელოვანი სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობისთვის?

უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ჩათვლით, უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაში, ასევე უსაფრთხოების სექტორში მონაწილე სტრუქტურებისა და პრაქტიკების მეთვალყურეობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას მოიცავს[1]. მიზანს შიდა და გარე უსაფრთხოების მიწოდების საქმეში საზოგადოების, ასევე ფუნდამენტური ინტერესების და პერსპექტივების გაერთიანების უზრუნველყოფა, ადგილობრივი მესაკუთრეობისა და მდგრადობის მხარდაჭერა წარმოადგენს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში ბევრი სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ: პოლიტიკური რჩევებითა და ტექნიკური ექსპერტიზით, მონიტორინგით, ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფით, კვლევითა და ანალიზით.

გენდერი ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიდგომებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. „გენდერი" შესაბამისად ნიშნავს *გაცნობიერებულ* განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა „სქესი"

[1] კაპარინი, კოული და კინზელბახი, საზოგადოების ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორზე: სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დემოკრატიული უსაფრთხოების მმართველობისთვის (Renesans: ბრატისლავა), გამოქვეყნდება 2008 წლის ივლისში

ბიოლოგიურ განსხვავებას აღნიშნავს მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს შორის. გენდერის როლი საკმაოდ განსხვავებულია სხვა კულტურებში და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გენდერი ეხება არა მხოლოდ უბრალოდ ქალებს ან მამაკაცებს, არამედ ასევე ურთიერთობას მათ შორის.

ადგილობრივი მესაკუთრეობის გაძლიერება

გენდერული საკითხების ინტეგრირება და ქალთა ორგანიზაციების ჩართვა უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ მფლობელობას წარმოშობს, უზრუნველყოფს რა ქალისა და მამაკაცის ჩართულობას და მათ შესაძლებლობას გამოხატონ თავიანთი საჭიროებები, შეხედულებები და პრიორიტეტები. ეს უსაფრთხოების ინსტიტუციებს მოსახლეობის თვალში უფრო წარმომადგენლობითს, სწრაფად რეაგირებადს და ლეგიტიმურს ხდის.

გენდერული ინტეგრაციის გზით მრავალმხრივი ზედამხედველობა

- სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ზედამხედველობას, რომელიც მონიტორინგს უწევს იმას, თუ როგორ აგვარებს უსაფრთხოებისა და სამართლის პოლიტიკა და ინსტიტუციები გენდერზე დაფუძნებულ ძალადობას, შეუძლია უსაფრთხოებისა და სამართლის მიწოდება გააძლიეროს.

- სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ზედამხედველობა, რომელიც უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციებს არადისკრიმინაციული სამუშაო ადგილის, სექსუალური შევიწროების და გენდერზე დაფუძნებული სხვადასხვა ძალადობის ფორმების პრევენციის უზრუნველყოფაში პასუხისმგებელს ხდის – პროდუქტიულობასა და ოპერატიულ ეფექტიანობას გაზრდის.

- სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ზედამხედველობა – რომელიც უსაფრთხოების ინსტიტუციებს ქალებისა და სხვა ქვემოთ წარმოდგენილი ჯგუფების სამუშაოზე აყვანას, შენარჩუნებასა და განვითარების გაზრდაში ავალდებულებს - საზოგადოების რწმენას და ეფექტიანობას გააძლიერებს.

ეფექტური ზედამხედველობა ქალთა ორგანიზაციების ჩართვით

- ქალთა ორგანიზაციები, ხშირად, უსაფრთხოების სექტორის მრავალმხრივი წყაროა. ისინი ზედამხედველობას შემდეგი მოქმედებებით აძლიერებენ:
  - გამჭვირვალობაზე, პასუხისმგებლობასა და რეაგირებაზე პოლიტიკური რჩევების მიწოდება.
  - საერთაშორისო და რეგიონული შეთანხმების მონიტორინგი და ასევე ეროვნული და ინსტიტუციური პოლიტიკის განხორციელება.
  - ზედამხედველობითი ორგანოებისთვის გენდერის საკითხებზე მუშაობის შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფა.

- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და ინდივიდის, ასევე თემის საკითხების იდენტიფიკაცია.
- ადგილობრივ თემებსა და უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობით ორგანოებს შორის დიალოგის ფასილიტაცია.
- ინსტიტუციების პასუხისმგებლობების შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა.

ჩანართი *1*

კანონმდებლობის განხორციელების მონიტორინგი[2]

მალაიზიაში სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ზედამხედველობამ, როგორიცაა ქალთა დახმარების ორგანიზაცია (Women's Aid Organisation) მალაიზის ოჯახური ძალადობის აქტის მოქმედებასა და ეფექტიანობას, ისევე როგორც მსხვერპლთათვის მისი სერვისების მიწოდებას მონიტორინგი გაუწია. მიგნებები კანონის შინაარსის დახვეწასა და განხორციელებაზე მიმართული ადვოკატირებისთვის იქნა გამოყენებული.

კამბოჯაში, ქალთა ორგანიზციები და ადამიანის უფლებათა ჯგუფები როგორიცაა LICADHO, მთავრობის ზედამხედველობით სააგენტოებთან ძალადობის გამოვლინების გამოძიებისა და კამბოჯის ოჯახური ძალადობისა და მსხვერპლთა დაცვის შესახებ ბოლო დროს მიღებულ კანონთან შეთანხმების მონიტორინგის მიზნით თანამშრომლობენ. ეს კანონი პოლიციას ოჯახური ძალადობის შემთხვევებში ჩარევის დიდ ძალაუფლებას ანიჭებს და ასევე მსხვერპლთა კანონიერი თავშესაფრის ხელმისაწვდომობას აძლიერებს. მონიტორინგთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ზედახედველობის უწყებები მსხვერპლთათვის კანონიერ დახმარებასა და უსაფრთხო დაბინავებას უზრუნველყოფენ.

შესაბამისობა საერთაშორისო კანონებით და ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან

სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ზედამხედველობაში გენდერის საკითხთა ინტეგრაცია მხოლოდ ოპერატიული ეფექტურობის საკითხი როდია, ის საერთაშორისო და რეგიონულ კანონებს, ინსტრუმენტებს და ნორმებს აუცილებლად უნდა ეთანხმებოდეს. უსაფრთხოებასა და გენდერთან დაკავშირებულ ძირითად ინსტრუმენტებში შედის:

- *პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (1995)*
- *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს*

[2] ადაპტირებულია: OECD DAC. *OECD DAC სახელმძღვანელო უსასფრთხოების სისტემის რეფორმაზე: უსაფრთხოების და მართლმსაჯულების მხარდაჭერა* (OECD DAC: პარიზი) 2007, გვ. 117.

გადაწყვეტილება №1325 „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ (2000)

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი „საერთაშორისო და რეგიონული კანონები და ინსტრუმენტები“.

როგორ შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობაში გენდერის ინტეგრაცია განხორციელდეს?

უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის ორგანოები

- ფორმალური უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის ორგანოებში, როგორიცაა მოქალაქეთა განხილვის საბჭოები, მოქალაქეთა საჩივრების კომისია, ექსპერტთა ტექნიკური ჯგუფები და დამოუკიდებელი მონიტორინგის ჯგუფები ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობას აძლიერებენ (იხილეთ ჩანართი 1).
- უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის ორგანოების დღის წესრიგში ქალთა შესახებ ისეთი საკითხები შეაქვთ, როგორიც არის გენდერული ძალადობა ან ქალთა სამუშაოზე უფრო ხშირად აყვანა.

კვლევა და მონაცემთა შეგროვება

- გენდერის საკითხების შიდა და გარე შეფასებებთან, უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის ორგანოების გადასინჯვებთან ინტეგრირებულობის უზრუნველყოფა.
- უზრუნველყოფა იმისა, რომ ყველა მონაცემი სქესის მიხედვით არის განაწილებული. ამ ფორმით განაწილებული მონაცემები მამაკაცთა და ქალთა განსხვავებულ მდგომარეობებს აშუქებს და სამართლიანი უსაფრთხოების სამსახურებისათვის აუცილებელ ბაზას წარმოადგენს.
- უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციის ან პოლიტიკისთვის გენდერის აუდიტის განხორციელება.
- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესის ანალიზის განხორციელება, ხოლო მიგნებებისა და რეკომენდაციების გავრცელება მას-მედით, სამთავრობო მოხელეებსა და დონორებზე.
- უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში მთავრობის გენდერის ბიუჯეტის ან ინდივიდუალური სექტორული ინსტიტუციების ბიუჯეტების ანალიზის განხორციელება, რათა უკეთ იქნას გაგებული ბიუჯეტის კონკრეტული გავლენა მამაკაცებსა და ქალებზე. ამ მიგნებების ადვოკატირებისთვის ინსტრუმენტებად გამოყენება.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ყველა აუდიტში, შეფასებაში, დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასების პროცესში ქალებისა და ქალთა ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა.

ადვოკატირება და ცნობიერების ამაღლება

გენდერთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე საზოგადოების ინფორმაციისა და ადვოკატირების კამპანიების შექმნის მიზნით, გენდერთან დაკავშირებული კვლევისა და მონაცემთა შეგროვების შეფასების შედეგების გამოყენება. გენდერთან დაკავშირებული საკითხებია: თუ როგორ განხორციელდეს გენდერზე დაფუძნებული ძალადობის შესახებ პოლიციის ინფორმირება, ან მთავრობის მიერ იარაღით ძალადობის პრევენციის პროგრამების დაფინანსებისთვის ლობირება.

- მარგინალიზირებული მოსახლეობისთვის (როგორიცაა სოფლის მოსახლეობა, განათლების არმქონე ქალები ან ეთნიკური თემები), რომლებიც ძირითად ენაზე არ ლაპარაკობენ, ინფორმაციის მიწოდების გზების იდენტიფიკაცია.
- ადვოკატირების მიმართვა სხვადასხვა - ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, რომლებიც მისწვდებიან ზემდგომ პოლიტიკოსებს, ვისაც უსაფრთხოების სექტორის პროგრამირებზე გავლენის მოხდენა შეუძლია.
- ადგილობრივი მას-მედიის ჩართვა პატარა გაზეთების, სათემო რადიოსა და ადგილობრივი სატელევიზიო სადგურების საშუალებით ინფორმაციის გავრცელების, ისევე როგორც ქვეყნის მასშტაბით მოქმედი მას-მედიის გზით.
- უსაფრთხოებისა და სამართლის საკითხების გენდერული მიმართულების მიმართ ჟურნალისტების მგრძნობელობის უზრუნველყოფის მიზნით მასმედიასთან მუშაობა (იხილეთ ჩანართი 2)

ტრენინგი გენდერზე

ქალთა ორგანიზაციებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომელთაც გენდერული გამოცდილება გააჩნიათ, შეუძლიათ მხარი დაუჭირონ გენდერის ტრენინგის შემუშავებას და მიწოდებას უსაფრთხოების სექტორის პერსონალისთვის (იხილეთ ჩანართი 3):

- ტრენინგისათვის საჭიროების შეფასებით
- გენდერზე ტრენინგის მასალების შემუშავებასა და ტრენინგის გამართვით
- გენდერის თემაზე სტანდარტული სასწავლო პროგრამის შემუშავებით, რომელიც შეიძლება ადაპტირდეს და ტრენერების მიერ იქნას გამოყენებული
- ისეთი პოლიტიკის ლობირებით, რაც მრავალმხრივ გენდერულ ტრენინგი მანდატს ანიჭებს
- სამოქალაქო საზოგადოების გენდერის ტრენერების საშტატო სიის შედგენით.

მონაწილე და ეფექტიანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში არიან ჩართულნი. ასევე, მათ შიდა პოლიტიკისა და პრაქტიკის ისეთი ფორმით გადასინჯვის ვალდებულება აქვთ, რომელიც თანასწორობას და გენდერული საკითხების შესახებ ადგილზე, ორგანიზაციის შიგნით მუშაობის შესაძლებლობების უზრუნველყოფას უწყობს ხელს:

- გენდერული და თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, რაც ადამიანური რესურსების საკითხებს, სამუშაოზე აყვანის პრაქტიკას, სამუშაოს შესრულების მოთხოვნებს და სექსუალურ შევიწროებასა და დისკრიმინაციას ეხება.
- მთლიანი შტატისთვის ტრენინგის გამართვა – გენდერთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებისა და კვლევის მეთოდის დონეზე ტრენინგის ჩათვლით
- უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის მუშაობაში გენდერის საკითხების მიმართულების გაძლიერება
- ორგანიზაციის შესაძლებლობის შეფასების მიზნით შიდა გენდერული აუდიტის წარმოება.

ასევე მე-9 ინსტრუმენტში ხელმისაწვდომია...

- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის გენდერის აუდიტის ეტაპები
- ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვისას დასასმელი შეკითხვები
- მასმედიასთან მუშაობისათვის მინიშნებები
- ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ზედამხედველობის შესაძლებლობების შექმნისთვის სატრენინგო თემები
- სამოქალაქო საზოგადოების ქსელების ლეგიტიმურობის გაძლიერების გზები
- აღმოსავლეთ ევროპის, ფიჯის, ერაყის, რუსეთის, სამხრეთ აფრიკის, გაერთიანებული სამეფოს, დასავლეთ აფრიკის მაგალითები.

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია კონფლიქტის დროს შესაძლოა დაიშალოს ან დასუსტდეს და შემდეგ ლეგიტიმურობას ან უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის ეფექტურ განხორციელებას ვერ მიაღწიოს. სხვა შემთხვევებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა შეიძლება კონფლიქტის შემდეგ პერიოდში გაიზარდოს, რადგან ჯარისა და პოლიციის რეფორმა, ისევე როგორც მიმდინარე დაუცველობა, ბევრი ორგანიზაციისთვის მთავარი პრობლემაა, რაც მათ ურთიერთთანამშრომლობას უზრუნველყოფს.

ჩანართი *2*

მამაკაცთა ჩართვა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაში.

თეთრი ბაფთის კამპანია (White Ribbon Campaign) კანადაში ქალთა მიმართ ძალადობის ადვოკატირებისა და აღმოფხვრის, ასევე ამ საკითხზე მამაკაცთა განათლების მიზნით, 1991 წელს მამაკაცთა ერთმა ჯგუფმა წამოიწყო. ცნობიერების ამაღლების კამპანიების, საჯარო შეხვედრებითა და მათი მზარდი ქსელების გზით, თეთრი ბაფთის კამპანიის წევრები არაძალადობრივ მამრობითობაზე ალტერნატიულ ხედვას უზრუნველყოფენ და მსოფლიო მასშტაბით საზოგადოებებში მამაკაცებსა და ვაჟებს პოზიტიურ მოდელებს სთავაზობენ.[3]

გამოწვევები გენდერული საკითხების ინტეგრაციისთვის

- სახელმწიფო დაწესებულებები ხშირად სუსტია, იმ დონეზე, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაშიც კი ტექნიკური ფინანსური და ადამიანური რესურსების მხრივ უსაფრთხოებისა და სამართლის სერვისების მიწოდების საშუალებები ხელმისაწვდომი არ არის.
- გენდერზე დაფუძნებული ძალადობის პრევენციისა და საპასუხო კანონები, სტრუქტურები და მექანიზმები იშვიათად არის მოწესრიგებული, ან სწორად იშვიათად ფუნქციონირებს.
- უსაფრთხოების სექტორის პერსონალმა შესაძლოა ადამიანის უფლებების დარღვევა განახორციელოს და უფლებების დარღვევა მშვიდობიან დროსაც განაგრძონ.

გენდერის საკითხების ინტეგრაციის შესაძლებლობები

- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებმა უსაფრთხოებისა და სამართლის სფეროში გადაწყვეტილების მიღებაში, შესაძლოა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის მხრიდან რესურსის ჩადებისთვის პოლიტიკური ადგილი შექმნას, რაც გენდერის საკითხების წამოჭრის შესაძლებლობაა.
- რეალობა აჩვენებს, რომ კონფლიქტის დროს და მის შემდეგ გენდერის როლები და ურთიერთობები ხშირად იცვლება, რამაც შესაძლოა გენდერის საკითხების ინტეგრაციაზე მოლაპარაკება და სამუშაოზე ქალთა გახშირებული აყვანა მნიშვნელოვნად წამოსწიოს წინ.
- დონორებს შესაძლოა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერის სურვილი გაუჩნდეთ იმ მიზნით, რომ მათთვის გენდერზე რეაგირებადი ზედამხედველობის შესაძლებლობა შეიქმნას.

[3] ადაპტირებულია: „თეთრი ბაფთის კამპანია“ http://www.whiteribbon.ca/about_us/

ჩანართი *3*

მონღოლეთის შეიარაღებული ძალების განათლება სქესობრივი ჯანმრთელობის სფეროში[4]

არასამთავრობო ორგანიზაცია Mongol Vision მონღოლეთის შეიარაღებული ძალების ოფიცრებსა და სამხედროებთან რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მუშაობს:

საკითხი: ახლადდაქირავებულ პირებს, განსაკუთრებით სოფლებიდან, აივ/შიდსზე, ან სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე (სგი) მცირედი, ან არანაირი ცოდნა არა აქვთ. შედეგად, ოფიცრებსა და სამხედროებს შორის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების სიხშირე შედარებით მაღალია.

მიზანი: ოფიცრებსა და სამხედროებს შორის აივ/შიდსზე, სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებსა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, მონღოლეთის თავდაცვის სამინისტროსა და მონღოლეთის შეიარაღებული ძალებისაგან დახმარების მიღება.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები მონღოლეთის თავდაცვის სამინისტრო და მონღოლეთის შეიარაღებული ძალების შტაბები.

პირდაპირი დაინტერესებული მხარეები: ოფიცრები/სამხედროები და მათი სქესობრივი პარტნიორები.

მიდგომები და კომუნიკაციები: თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების შტაბებში წერილები გაიგზავნა; მაღალი რანგის ოფიცრებთან ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრები და სემინარი განხორციელდა; მათთან თანამშრომლობით პროექტი შემუშავდა; მეთაურმა ოფიცრებმა და სამხედრო ექიმებმა შეიარაღებული ძალების პერსონალის შორის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციის მხრივ არსებული სიტუაციის შესახებ ანგარიშები წარმოადგინეს.

წარმატებისა და მდგრადობის ინდიკატორები: სქესობრივი ჯანმრთელობა სამხედრო შტატისთვის ოფიციალური განათლების სასწავლო პროგრამაში იქნა შეტანილი; მაღალი რანგის ოფიცრების ამაღლებული ცნობიერება და თავდაცვის სამინისტროს მხრიდან გაზრდილი მხარდაჭერა.

ჩანართი *4*

უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის ორგანოებისთვის გენდერის ჩამონათვალის ნიმუში კონფლიქტის შემდგომ კონტექსტში

- როგორ არის სამოქალაქო საზოგადოება, ქალების ჩათვლით,

[4] ციტირებულია: ალბრეჰტ პ. „ადვოკატირება“, საზოგადოების ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორზე: სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დემოკრატიული უსაფრთხოების მმართველობისთვის, eds. კაპარინი, კოული და კინზელბახი, (Renesans: ბრატისლავა), გამოქვეყნდება 2008 წლის ივლისში.

ზედამხედველობის პროცესში ჩართული?

- როგორ არის ქალებისა და მამაკაცების განსაკუთრებული უსაფრთხოების საჭიროებები გამოვლენილი და დაკმაყოფილებული?
- რამდენი მამაკაცი და ქალი მუშაობს სამხედრო, სადაზვერვო სამსახურებში, სასაზღვრო პოლიციაში, საბაჟოზე, იმიგრაციასა და სხვა სამართალდამცავ სამსახურებში და რა სამუშაოზე (ქალთა/მამაკაცთა პროცენტულობა ხარისხისა და კატეგორიის მიხედვით)?
- ხორციელდება თუ არა ღონისძიებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალებს, როგორც უსაფრთხოების ინსტიტუციის ნაწილს, თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეთ?
- მიეწოდება თუ არა გენდერზე ტრენინგი პილიციას, სამხედროსა და უსაფრთხოების სხვა სამსახურებს?
- რა ღონისძიებები არსებობს უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის მიერ გენდერზე დაფუძნებული ძალადობის პრევენციისთვის?
- ადექვატურად ფინანსდება თუ არა გენდერთან დაკავშირებული პროგრამები?

სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობის უწყებისთვის დასასმელი შეკითხვები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში გენდერის ინტეგრაციის დაწყებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გზა შეფასების განხორციელებაა. ქვემოთ მოყვანილია შეკითხვების მაგალითი გენდერზე, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, სასურველია, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შეფასებაში შეიტანონ:

- რა არის მამაკაცების, ქალების, ვაჟებისა და გოგონებისთვის განსაკუთრებული უსაფრთხოებისა და სამართლის საჭიროებები?
- აქვს თუ არა უსაფრთხოების სექტორის პერსონალს მოცემულ საჭიროებებზე რეაგირების შესაძლებლობა? თუ არა, რატომ?
- მიუწვდებათ თუ არა თანაბრად ხელი ქალებს, მამაკაცებს, ვაჟებსა და გოგონებს უსაფრთხოებისა და სამართლის მომსახურებებზე?
- ახდენს თუ არა უსაფრთხოების კანონმდებლობა, პოლიტიკა და პროტოკოლი გენდერზე რეაგირებას? არის თუ არა მათი შესაბამისი კანონმდებლობა გენდერული ძალადობის წინააღმდეგი?
- გააჩნიათ თუ არა ქალებს უსაფრთხოების სექტორში თანაბარი ხელმისაწვდომობა დასაქმებაზე?

- როგორია სამუშაო გარემო უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში? არსებობს თუ არა სექსუალური შევიწროება და სხვა ბარიერი ქალთა დაწინაურების პროცესში?
- ჩართულია თუ არა უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობით ორგანოებში ქალები და ახორციელებენ თუ არა ეს ორგანოები ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებს?
- უწევენ თუ არა უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობითი ორგანოები მონიტორინგს გენდერზე დაფუძნებული ძალადობის საკითხებსა და მამაკაცთა და ქალთა თანაბარ შესაძლებლობებს?

დამატებითი ინფორმაცია

რესურსები

საერთაშორისო ამნისტია (Amnesty International) - აფრიკაში ადამიანის უფლებების დარღვევის მონიტორინგი და ანგარიში: გზამკვლევი საზოგადოებრივი აქტივისტებისათვის, 2002წ.

საერთაშორისო ამნისტია – პოლიციის სისტემის გაგება: რესურსი ადამიანის უფლებების აქტივისტებისთვის, 2006წ.

DCAF- უსაფრთხოების სექტორის საჯარო ზედამხედველობა: გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის დემოკრატიული უსაფრთხოების მართვის საკითხებზე, გამოდის 2008 წელს;

ოჯახური ძალადობის პრევენციის ფონდი (Family Violenve Prevention Fund) - სახელმძღვანელო გენდერზე დაფუძნებული ძალადობის პრევენციის მიზნით მამაკაცებსა და ვაჟებთან მუშაობისათვის, 2003წ.

საერთაშორისო შეტყობინება და ქალები მშვიდობისთვის (International Alert and Women Waging Peace): ინკლუზიური უსაფრთხოება, მდგრადი მშვიდობა: სახელმძღვანელო ადვოკატირებისა და მოქმედებისთვის, 2004წ.

OECD DAC - *OECD DAC* გზამკვლევი უსაფრთხოების სისტემის რეფორმაზე: უსაფრთხოებისა და სამართლის მხარდაჭერა, 2007წ.

ორგანიზაციები

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF) – www.dcaf.ch

International Alert- www.international-alert.org

გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის (UNIFEM)*პორტალი ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების შესახებ* – www.womenwarpeace.org

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW) - www.un-instraw.org

WiLPF: *„მშვიდობის ქალები“(PeaceWomen)* - www.peacewomen.org

გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის რეფორმა და გენდერი
4. სასამართლო რეფორმა და გენდერი
5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის

დანართი საერთაშორისო და რეგიონული კანონების და ინსტრუმენტების შესახებ

თითოეული ეს ინსტრუმენტი და პრაქტიკული მითითება ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

www.dcaf.ch www.un-instraw.org და www.osce.org/odihr.

აღნიშნული პრაქტიკული მითითების ავტორია რაჰიმ კანანი, UN-INSTRAW, კარენ ბარნსისა და პიტერ ალბრეხტის თანაავტორობით, International Alert.